

სახელის შეწყობა საღვათო თანდებულებთან და ზმნისაერთობთან ნათესაობითსა და მიხამითს ბაუნებოში

გარდა იმ თანდებულებისა, რომლებიც ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში სახელის ბრუნვის ფორმას შეუერთდნენ, და, ჩვეულებრივ, ერთმარცვლიანები არიან, მოიპოვებინ კიდევ თანდებულები, რომლებიც ორმარცვლიანები არიან და არ არიან შეერთებული ბრუნვის ფორმას. ასეთ თანდებულებს ცალკე მდგომ თანდებულებს უწოდებენ. გარდა ამისა, სახელს დაერთვის აგრეთვე ზოგი ზმნისართი, ჩვეულებრივ ადგილის ან დროის გამომხატველი, და ამ სახელისაგან გარკვეული ბრუნვის ფორმას მოითხოვს, გარკვეული ბრუნვის ფორმას მართავს ამ სახელისას. სახელის ბრუნვის ფორმას შეერთებული ერთმარცვლიანი თანდებულებსაგან დასახელებული თანდებულები და ზმნისართები ერთგვარად განსხვავდებიან. მიუხედავად იმისა, რომ პირველები შედარებით ცოტაა, რამდენიმე ბრუნვაზე არიან განაწილებული. დაერთვიან მიცემითს, მიმართულებითს, ნათესაობითს, მოქმედებითს ბრუნვებს. ცალკე მდგომი თანდებულები და განსაკუთრებით საკმაოდ მრავალრიცხოვანი ზმნისართები კი—ყველანი ერთსა და იმავე ბრუნვას დაერთვიან: ნათესაობითსა და მიცემითს ერთდროულად ან მხოლოდ ნათესაობითს. იმის გამო, რომ ცალკე მდგომ თანდებულთა, აგრეთვე სახელს დართულ ზმნისართთა დიდი ნაწილი ერთდროულად ორ ბრუნვას—ნათესაობითსა და მიცემითს—შეიძლება დაერთოს, სალიტერატურო ენაში ჩნდება პარალელური ფორმები, ზოგჯერ უმართებულო ფორმებიც.

ასეთი ცალკე მდგომი თანდებულები და ზმნისართებია: მიერ, მიმართ (მომართ), გამო, გარდა, მაგიერ, ნაცვლად, შესახებ, მიხედვით, შუა, შორის, ქვეშ, ქვევით, ქვემოთ (ქვემოდან), ზევით, ზემოთ (ზემოდან), წინ, წინათ, წინაშე, უკან, შემდეგ (შემდგომ), მერმე (მერე), გაღმა, გამოღმა, გადაღმა, გარეთ, გარეშე, გარეშე, ირგვლივ, ახლოს, შორიახლოს, მახლობლად, გვერდით, წინააღმდეგ, პირდაპირ, დასწვრივ, გასწვრივ, სისწვრივ, ბოლოს (ბოლოზე), მხრივ || მხრით, მარცხნივ, მარჯვნივ, აქეთ (აქედან), იქით (იქიდან), მეტი, მსგავსად, მოშორებით, ირგვლივ, პირას (პირად), პირზე, განაპირას, წინააღმდეგ, უმაღლ, ძირს (ძირას) და სხვ.

• გარდა დაერთვის ნათესაობითსა და მიცემითს. როცა ნათესაობითს დაერთვის, მაშინ შეიძლება პრეპოზიციურადაც იყოს დასმული და პოსტპოზიციურადაც. პოსტპოზიციურად, რა თქმა უნდა, მხოლოდ გაუვრცობელ ფორმას დაერთვის ნათესაობითისას, პრეპოზიციურად კი მხოლოდ გაუვრცობელს.

პოსტპოზიციურად:

ამისთანა დრამის დამწერს წინ უნდა უძღოდეს დიდი ცოდნა ისტორიისა... დვით-მომაღლებული ნიჭის გარდა (ილია).

პრეპოზიციურად:

მისი მშვენიერი „სული ბოროტო“ სხვა არა არის რა, გარდა ყოველ იმ ადამიანის ჩივილისა, რომელსაც მოხვედრია „ხელი მსახვრალი“ (ილია).
ეს ბავშვური სცენები... სუყველას მოეწონა, გარდა მოურავისა (აკაკი).

III პირის ნაცვალსახელებთან პოსტპოზიციურად:

ამის გარდა სხვა ნუგეშიც შეეპარა გულში... თათქაჩიძესა (ილია).
მის გარდა ყველა მასწავლებელს ეუყვარდი (აკაკი).
არაუის შევიყვარებდი მის გარდა (გ. ქიქ., თარგმ.).

პრეპოზიციურად:

გარდა ამისა ლარიბისათვის ისევ მტვერი სჭობია ტალახსა (ილია).
მე აქ არა მესმის-რა, გარდა იმისა, რომ გავამართლო ეგრეთ გონიერი ქცევა (ილია).

მიცემითს დაერთვის მხოლოდ პოსტპოზიციურად (და, მაშასადამე, გაუვრცობელს).

ჩვენი პოეზია, თითო-ორილა მაგალითებს გარდა, დაჰჟუჟუნებდა ჩვენის დიდაკიბის გულის-თქმას (ილია).

ჩვენ, ქერძს გარდა, მოსაკითხივ მოგვდიოდა (აკაკი).
არაყს გარდა, ჭორწილში პურაც კი იყო საჭიროა (ვაჟა).

თითო-ორილა შემთხვევაში შეიძლება მიცემითის ხ დაიკარგოს:

წიგნის კითხვა... უწინდელ ხალხსა არა გყვარებიათ აგრე რიგათა, რასაკვირველია, საღმრთო წერილ გარდა (ილია).

III პირის ნაცვალსახელებთან:

ამას გარდა დედ-მამა ძალიან უფრთხილდებოდა გოგოსა... (ილია).

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა გარდა პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს დაერთვის, მაშინ ასეთი ფორმები გვაქვს: ჩემ გარდა და ჩემს გარდა, ჩვენ გარდა და ჩვენს გარდა, შენ გარდა და შენს გარდა, თქვენ გარდა და თქვენს გარდა:

ჩემ გარდა სხვასაც ეგ დაემართა (ილია).
ყველანი დაითხოვა ჩემ გარდა (ილია).
ჩემს გარდა ნიკო და ტატოც დაესწრნენ ამ სადილს (ი. ეკალ.).
ჩემს გარდა აბა ვინ მოგიმენდა! (კ. მაყ.).
ჩემს გარდა სხვებსაც გაუგონიათ (აკაკი).
ყველა იყო ბედნიერი ჩვენ გარშემო ჩვენ გარდა (ილია).
ჩვენ გარდა კიდევ ბევრი იყვნენ და იმ ბევრში ჩვენი ბატონი დათიკოცა (ილია).
შენს გარდა მე ცხო არეინ მინდა (ა. უაზბ.).
შენს გარდა იღობა ვინმემ? (აკაკი).
თქვენს გარდა პატრონი და ჭირისუფალი ვინდა ეყოლებათ? (აკაკი).
თქვენს გარდა არც ნათესავი მყავდა, არც მეგობარი (გ. ქიქ., თარგმ.).

ამჟამად გაქვავებული გამოთქმაა ამას გარდა.

2. იქით, აქეთ, იქიდან, აქედან

ესენი მხოლოდ პოსტპოზიციურად შეიძლება იყვნენ დასმულნი. არსებით სახელებს, ჩვეულებრივ, ნათესაობითში მოითხოვენ (რა თქმა უნდა, გაუვრცობელ ფორმას დაერთვიან).

გადავიხედე ღობის იქით (ილია).
კოში ნაგსად გუროს იქით იყო ამართული (გ. ქიქ., თარგმ.).
იმ დღის აქეთ, ვინც იჭირავე, სუყველა გამოჰყარა ეშმაქმა (აკაკი).
კაკოც, იმ დღის აქეთ... ჩავარდა ნალველში (ილია).

ლუარსაზს ამ დღის აქეთ სულ ის... ქალი აგონდებოდა (ილია).
ბერიძემ უღელტეხილს მიადწია და გადიხვდა მთის იქით (ვაჟა).
ორმოც-და-ათი როზგი დაეკრას იმასო, ვინც თავის ნაბატონარს დღეის იქით
ბატონს დაუძახებდეს (ილია).

შენს ხელში ვარ დღეის იქით (აგია).
მინამ მთის იქიდან მზე ამოალაპლაპებდა თავის სხვისა... კესო ჩაცმულ-და-
ხურული ბაღში იყო ხოლმე (ილია).

მთის იქით სურათი სრულიად გამოიცვალა (ვაჟა).
ხნ ულის იქით გვერდზე პატარა ნაკადი ჩამოუდიოდა (ვაჟა).
მზე დაღეს ტნის იქით მთის უკან იმალება (ვაჟა).
ზღვის იქიდან დაღალულ-დაქანცული ორი ტრედი მოფრინდა (ვაჟა).

მაგრამ მიცემითანაც გვხვდება:

გიორგობის რვას 1864 წ. აქეთ არა მებატონეს ნება არა აქვს გლეხს ჩამოართოს
რამე (ილია).

ჩვეულებრივია გამოთქმა: **ცხრა მთას იქით... ცხრა მთას, ცხრა ზღვას
იქით...**

III პირის ნაცვალსახელთან ნათესაობითში:

მთელი ქვეყანა ამ შეილში მოუქცევიათ და იმის იქით არა სწამთ-რა (ილია).

მაგრამ ჩვეულებრივია გამოთქმა: **მას აქეთ** („მას აქეთ, რაკი შენდამი
ვცან მე სიყვარული, ჰოი მამულო, გამიერთა მე ძილი და შეება.—ილია), **ამას
იქით...**

ნათესაობითსა და მიცემითს შორის მერყეობა ჩანს ამ ტიპის მაგალითში:

ჩემს ქვრივობის აქეთ სოსანი კაბა არ ჩამიცივამს (ილია).

I და II პირის ნაცვალსახელებთან ასე გვაქვს:

ჩემს იქით:

ჩემს იქით თოვი გინდა კუნძს მოხვედრია და გინდა კაცსაო (ანდაზა).
[სოსია] ჩემს იქით არსად წაუა (მელანია).

შენს იქით:

შენს იქით კაცსა ვერ ვპოვებ (ვაჟა).
შენს იქით გზა არც ერთს არა გვაქვს (აკაკი).

ასევე: **ჩვენს იქით და თქვენს იქით:**

სანმოკვეცილი ფორმები არ გვხვდება.

ეს გამოთქმები იმავე რიგისაა, როგორიც ამას იქით, ცხრა მთას იქით,

მას აქეთ გაქვავებული გამოთქმებია ამქამად.

3. უკან ნათესაობითსაც დაერთვის და მიცემითსაც თანაბრად. დაიხმის
ქოსტაზიციურად. დაერთვის მხოლოდ გაუვრცელებელ ფორმებს. აღნიშნავს ან
აღვილს, ან დროს.

ნათესაობითთან:

რომ გაათავა ლოცვა, ამილო და მვე ხატის უკან დამდევა შესაწირავად (აკაკი).
მეც თურმე ჩანგალზედ გამობმულა ნატეციის უკან აეთრული (ილია).

სახლის უკან კალო-საბჭელია (ილია).

[ლიამვეს აქვს] ფეხები შორბენალნი უფროსის წინ და ნამეტნავად მდიდრის უკან
(ილია).

ყავო... მიჩაქავენდა თავის პატარა ბატონის უკან (ილია).

ბერი ათხრეინეს თავლის უკან (ილია).

სახლის უკან ჩამოსდგამს გვერდა (ვაჟა).

თამარი ხალხის უკან იდგა (ვაჟა).

მზე დალესტნის იქით მთის უკან იმალება (ვაჟა).
უკანის უკან კარაპეტა მიაგვმანებდა თავის ლურჯას (ვაჟა).

მიცემითან:

ჯაგს-უკან თოფიანი კაცია მიმალული (ვაჟა).
ჩვენი კლდე ზურგს უკან მუქარა მივყავოლეთ (ვაჟა).
თავლას უკან ორმოა (ილია).
[ლუარსაბაში] პატარა ხანს უკან ხვრინვა ამოუშვა (ილია).
დალაგმეს ცხენები და პატარა ხანს უკან მორეკეს ჩრდილოშია (ილია).
ორ დღეს უკან ჩვენი სოფლის ბოლოში მივედი (ილია).
დარუჯანმა ისე ახსნა ეს სიზმარი, რომ სწორედ ცხრა თვეს უკან შვილი უნდა
ეყოლოს (ილია).
სადილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი (ილია).
ხელთერთა იზოლდამ თვითვეული სიტყვა გაიგონა კედელს უკან მდგარმა
(გ. ქიქ., თარგმ.)

III პირის ნაცვალსახელთან ჩვეულებრივ მხოლოდ დროს აღნიშნავს და მეტ-
წილად მიცემითს დაერთვის.

ნათესაობითან:

იმის უკან კი ბოღაშის მოთხოვნა მართლა გასაოცარია (ილია).

მიცემითან:

მას უკან ხშირად იტყოდა ხოლმე: ჩემი დაუფიქრებლობით კინდამ ცოდვაში
ჩავვარდიო (აკაკი).

მას უკან, ხშირად საღამ-საღამოობით ბოსტნის ბოლოზე ვიცილად ხოლმე (აკაკი).
რა ილაპარაკეს მას უკან, არ ვიცი (ილია).

I და II პირის ნაცვალსახელებთან: ჩემს უკან, ჩვენს უკან, შენს უკან,
თქვენს უკან და ბარალელურად: ჩემ უკან, ჩვენ უკან, შენ უკან, თქვენ
უკან:

ვიწყე სირბილი და ჩემმა ქმარმა ჩემს უკან ქუდმოგლეჯილმა კინკილი (ბაჩანა).
ჩვენს უკან, კი... ჩვენი ჭარები... სჩებდნენ ტყეებს (ივ. შაჟ., თარგმ.).
მე დავტოვე პატარა კოპერფილდი ჩემს უკან ცხოვრების შარა-გზაზე
(ქ. ხაჭრ., თარგმ.).

მას უკან, პატარა ხანს უკან, ზურგს უკან, პირს უკან (ამოყვარეს პირში
უზრახე, მტერს—პირს უკანაო!—ანდაზა) გაქვავებულ გამოთქმებს წარმო-
ადგენენ.

4. შორის ორ სახელს ანლავს ან, თუ ერთ სახელს დაერთო, ეს სახელი
მრავლობით რიცხვშია დასმული ან კრებითი შინაარსი აქვს. დაერთვის ორ
ბრუნვას: ნათესაობითსა და მიცემითს.

ამჟამად პოსტპოზიციურადაა დასმული.

შორის ნათესაობითან:

გორგი უხილავად დაჰქროდა ამ ნანგრევთა მუხა-იღნების შორის (ვაჟა).
გამოჩნდა საჭიროება იმგვარ ლიტერატურისა, რომელიც... ადვილად უნდა გა-
რულდეს... შუამეულობისა შეცნიერების და ცხოვრების შორის (ილია).
დიდი ზღვაა ბატონის და კაცოს შორის მაგვარ საქმეებში (ილია).

შორის მიცემითან:

ჩემოდანში პირად ნივთებს შორის იღვა პატარა ამანათი („ლიტ. ხაჭ.“).
წაშლილია ზღვარი მიცვალეხელსა და ცოცხალს შორის („ლიტ. ხაჭ.“).
დაცუკუნებდა ჭამებსა და ტაბაკებს შორის (ილია).
შუქმნა დიდი თქმულობა მეფესა, ვაზირსა და რუქას შორის (ხაბა).
რა განსხვავებაა ცოცხალი კაცის პირის-სახესა და მიცვალეხელის პირის-სახეს
შორის? (ილია).

შთელი დღე დაპოგავდა ფერად ყვავილებს და მწვანე მდელიებს შორის
(ილია).

მთარგმნელი უნდა იმას სცდილობდეს, რომ გადმოიღოს სხვისი აზრი ისე, რომა
ნამდვილსა და თარგმანის აზრს შორის არ იყოს რა იოტის ოდენა განსხვა-
ება (ილია).

III პირის ნაცვალსახელთან უმეტეს წილად - თ სუფიქსიან მრავლობითშია
და არ გაირჩევა ნათესაობითი და მიცემითი: ამათ შორის.

I და II პირის ნაცვალსახელებთან ხშირად იხმარება და ორგვარი ფორმა
გვაქვს:

ჩვენ შორის და ჩვენს შორის:

მივირის, საიდან ამოხველა ჩვენს შორის ღვარძლად (ვაჟა).

ვილაც მესამე, ვილაც მახინჯი ჩაღვა ჩვენს შორის (გ. ტაბ.).

ჩვენ შორის ბრწყინავს შენი სახელი (ალ. აბაშ.).

შენ კი ჩვენს შორის უფსკრული კათხარე (ხ. შანშ.).

ჩვენ შორის რალაცას ვხედავთ? ხშირად სრულიად წინააღმდეგსა (ი. გოგებ.).

თქვენ შორის და თქვენს შორის:

ომი თქვენ შორის ეგვანება ქვეყნის განაპობას (ივ. მაჩაბ., თარგმ.).

გვიხარის ფრიად, რომ ვართ თქვენ შორის (კ. მაყ.).

რამდენიმე საათია, რაც თქვენ შორის ვიმყოფები (შ. ლად.).

მეც მადლდებდავო თქვენ შორის, უმცროსი ძმა ვარ თქვენით (ვაჟა).

მეც... ვღგვევარ თქვენს შორის (ა. შანშ.).

როდესაც შორის მიცემითს დაერთვის, მიცემითის ხ შეიძლება მოეკვეცოს.
ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია.

თვითულ მათგანს დიდად სწამს, ამ ნანგრევებში, ამ დახვეწებულ ლოდებ შორის
ძლიერი, ყოვლად შემპლბებელა ღვეთური სულა განისვენებს (ვაჟა).

ჩვენ თვალნდაქვეტილი ამა ებ-შორის დავეჭვებოდით (ილია).

სხვათა სიტყვის ნაწილებ შორის მართო ზმნა არის აზრის გამოშხატველი
(ილია).

გლებების სახლებ შორის მოჩანდნენ შედიოდღე თავადის-შვილის თეთრი სახლები
(ილია).

ყვავილებ-შორის მოჩანდა თავი ახალგაზრდა ქალისა (ილია).

ერთ ფანჯარაში ვარდებ-შორის მოჩანდა ერთი ცოცხალი ვარდი (ილია).

კოლა ძალაან მორცხობდა უცნობ ყმაწვილებ შორის (ილია).

ვხედავ ჩემს თავს ჩემს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფუნჩულა და-ძმებ შორის
(ილია).

5. შუაც ორ სახელს ანლავს ან, თუ ერთ სახელს დაერთო, ეს სახელი
მრავლობით რიცხვშია დასმული ან კრებითი შინაარსის მქონეა. დაერთვის ორ
ბრუნვას: ნათესაობითსა და მიცემითს, უპირატესად მიცემითს. ამჟამად პოსტპო-
ზიციურადაა დასმული.

შუა ნათესაობითთან:

რა ვიცოდი, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება (ილია).

იქვე ხალხის შუაში სავსე ტუჩები ეყარა (ვაჟა).

ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რალაც იღუპალი კავშირი
(ილია).

გვ ოთხი წელიწადი... ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისა-
გან გადებული (ილია).

შუა მიცემითან:

თვალსა და ხელს შუა გავებარე (აკაკი).

ტყესა და ტყეს შუა ველეზი იყო (ვაჟა).

სოფელში გაზრდილ და ქალაქში მყოფ ბავშვებს შუა ისეთი განსხვავებაა, რომ-

გორც ნამდვილსა და მის აჩრდილს შუა (აკაკი).

გზებსა და გზებს შუა აი ისეთი კვლები უნდა დაიკვლოს (ილია).

მაშინ რკინის გზა მოსკოვისა და პეტერბურგს შუა იყო (აკაკი).

აჰყვა წისქვილის რუს და დიდრონ ტირიფის ფესვებს შუა ჩაწვა (ვაჟა).

ტიროდენ ყვავილი კლდისანი, ქვებსა და ქვებს შუა ნაჯე ამობრუნებულნი

(ვაჟა).

მამალს ჭორის ტრაპახი არ ესმოდა, გმირულად დასეირნობდა ეზოში დედლებს

შუა (ვაჟა).

სამოციან წლებში გამოსულთ მწერალთა ჩაუდგეს ქვაკუთხედი იმ ხელს, რომელიც

ჩატყდა წარსულსა და აწმყოს შუა (ილია).

გული მადლია და მადლი მართო ორს შუა ქსაქმობს (ილია).

ბაგრატ ზახარის ხელებსა და ბაკუნბარდებს შუა ორი ვარდი უწყვიო (ვაჟა)

III პირის ნაცვალსახელთან უმეტეს წილად თ-სუფიქსიან მრავლობითშია დასმული და არ განირჩევა ნათესაობითი და მიცემითი:

მათ შუა ჩადგა ნიაეი (გ. ლიონ).

დედამ მიიყვანა ვანო ამ დამალ ვაშლებთან და მათ შუა საკუთარი ხელით ჩაადე-
ბინა სადი ვაშლი (ი. გოგა);

I და II პირის ნაცვალსახელებთან ორგვარი ფორმა გვაქვს:

ჩვენ შუა და ჩვენს შუა:

ჩვენ შუა ხილია ჩატეხილი (ილია).

ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩატეხე ხიდი (ილია).

ჩვენს შუა ღლი ღრვა (შ. არაგვ.).

თქვენ შუა და თქვენს შუა:

აბა ერთი მითხარ, რა დიდს ეხლა ჩვენ-შუა (ილია).

იბადებოდა უფსკრული თქვენს შუა (შ. დად.).

როდესაც შუა ორ ნაცვალსახელთან ან ნაცვალსახელთან და არსებით სა-
ხელთან იხმარება, მაშინ ზოგჯერ ასეთი ფორმები გვაქვს:

ჩემ და ღმერთ შუა ერთი აღარა არის რაო (დ. ჭონჭ.).

რამინო... ჩემსა და დავითის შუა გაჩნდა (ნ. ლორთქ.).

ჩემ და ქვეყნის შუა ხომ ეხლა ხიდი ჩატეხილია (ილია).

ლევანი ძლიერია, იგი ჩვენსა და იმერეთს შუა დგას (ნ. ლორთქ.).

თქვენსა და ჩემს შუა დადებულს პირობას ახლა მართო თქვენზე აქვს ძალა
(გ. წერ.).

უფრო კი ასეთი:

ავად თუ კარვად გადაჭრა მე და ქმარის შუა დავისა (ბაჩანა).

ვერძნობდი, რა საშინელი ზღვარი იღვა მე და იმის შუა (ივ. ზაჭავ., თარგმ.).

აქამდისაც არ თავდება [მტერმოყვარეობა] მე და იმას შუა (აკაკი).

როდესაც შუა მიცემითს დაერთვის, მიცემითის ხ შეიძლება მოეკვეცოს:
ასეთი შემთხვევები ხშირია.

ფოთლებ და ბუჩქებ შუა გამოჩნდა (ილია).

ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩატეხე ხიდი (ილია).

წარბეზ-შუა შუბლი... ჩაპნაოქობოდა (ილია).

ბევრჯერ უტირნია სერუფენიას, სორში მოკუნტულს, თუ სადმე ჯაგის ძირას—გო-

ბებში ლოდებს-შუა გატრუნულს (ვაჟა).

პეპია საცოდავად გახდა... ლოყები ყბებ-შუა ჩაეყეცა (ილია).

ამ ორ ტახტ-შუა აღმოსავლეთის კედელზედ მოჩანდა... ბუხარი (ილია).

ვისხედით... ამ ოთხ კედელ-შუა (ილია).

დაერჩით მე და სოფო ორ წყალ-შუა (ვაჟა).

6. შემდეგ, შემდგომ დაერთვის რგორც ნათესაობის, ისე მიცემით.

ნათესაობითან:

ორმოცი წლის ხეტიალის შემდეგ იპოვნეს აღთქმული ქვეყანა (აკაკი).

ამ ამბის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, რომ შალვა, ელიზბარ და ბიძინა

აღმოსავლეთის ვახს ადგენ (აკაკი).

ქიდაობის შემდეგ აბდუშაპილი თავის ქერქში ვეღარ იყო (აკაკი).

დაითკოს მოკვლის შემდეგ მე იმ არე-მარეში ყოფნა ძალიან გამოძინელა (ილია).

ორიოდ გონიერ ბაასის შემდეგ... სადილობაც მოვიღოდა (ილია).

კოლ-ქმარას ჯვარისწერის შემდეგ სდევდა უკან ერთი უბედურება (ილია).

[მამაჩემმა] დედნიჩემის შემდეგ დიდხანს ვეღარ იცოცხლა (ილია).

არწივის შემდეგ გადმოაფლანგაშენებს სეაფი (ვაჟა).

მიანც ამ შებღვერის შემდეგ წრუწუნა კაცად აღარ ვარგოდა (ვაჟა).

ორმოცი დღის შემდეგ ოქროსთიმიანმანმა იზოლდამ ავადმყოფი თითქმის სრუ-

ლიად განკურნა (გ. ჭიჭ., თარგმ.).

დაუგდებ ყურსა და ელო, რა მომხდარა ამ და ამ საქმის შემდგომ (ილია).

წერილის წაკითხვის შემდგომ სულ ერთსა და იმავეს ფიქრობდა

დავიით (ლ. ჭიჩ.).

მიცემითან:

ნახევარ საათს შემდეგ დაებრუნდი (ვაჟა).

სადილის შემდეგ ძილი, მერე ისევ ვალეიქება, მერე ისევ ჩაი, მერე ისევ ვახშამი

(ილია).

ხანგრძლივ შფოთებს შემდეგ სვენება უპრიანია (ილია).

ეს მოგვიხდება ორმოცდა-შვიდს წელიწადს შემდეგ (ილია).

პატარა ხანს შემდეგ ხელახლა მოუტრიალდა (ილია).

წუთს შემდეგ... გულში იგრავდა (ა. ყაზბ.).

ამ ფიქრებს შემდეგ უყებ ჩაეძინა (გ. წერ.).

ამ სიტყვებს შემდეგ სალომემ სამჯერ გამოისახა პირჯვარი (გ. წერ.).

ერთ ხანს შემდეგ მან იგრანო, რომ მარცხენა ხელი შეუსუსტდა („ლიტ. საქ.“).

ცოტა ხანს შემდეგ დემეტრემ ზღურბლადამ თავის დედაკაცს თავმოჭრილი

დედალი გადმოუტღო (ვაჟა).

ახლა-კი თავს იტყვენ სიკვდილს შემდეგ? (აკაკი).

მიცემითის ს მოკვეცილია ზოგჯერ:

ამ სიტყვებს შემდეგ... კოლა შეჯდა ცხენზე (ილია).

ყველას მიეცათ გული გლუხებსა ამ სიტყვებს შემდეგ (ილია).

დედაბერმა დაიძინა სადილ შემდეგ (ილია).

III პირის ნაცვალსახელთან:

მიცემითან:

დიდმა ხანმა გაიარა ამას შემდეგ (აკაკი):

პაპა და თამარი, კარგა ხანია მას შემდეგ, რაც დაიხოცნენ (ვაჟა).

მას შემდეგ... თამამად თვალს გაეფუსწორებდი (ილია).

რაც ეს სალოცავი დაარსდა, მას შემდეგ მსახურად ხევისბერები და დისტურები

იყვნენ (ვაჟა).

მას შემდეგ აქ არის („ლიტ. საქ.“).

მას შემდეგ ერთხელ კიდევ შევხვდი (აკაკი).

შას შემდეგ, რაც ტრიტანი წავიდა, ჰუსდანი თავის ბუნავში წვეს
(გ. ჭიჭ., თარგმ.).

ამ დას შემდეგ სალომე თვითონ მიიღოდა პორტში (გ. წერ.).

ნათესაობითან:

ამის შემდეგ სამა დღემ განვლო (გ. ჭიჭ., თარგმ.).

ამის შემდეგ აღარავის გაუბედავს იმ ტყერში შესულა (გ. ჭიჭ., თარგმ.).

არ გასულა ამის შემდეგ რამდენიმე წუთი, რომ კარი ისევ გაიღო (ილია).
არჩილი ამის შემდეგ მივიდა ოთარაანთ ქვრივთან (ილია).

I და II პირის ნაცვალსახელებთან:

შეიძლება ჩემს შემდეგ სხვა ქალი, ხელთეთრა იზოლდა შუიყვარო (გ. ჭიჭ.,
თარგმ.).

არ ვიცი, რა მოგვლით ჩემს შემდეგ (გ. ჭიჭ., თარგმ.).

უნდა ჩემ შემდეგ ადგილი დაიჭიროს (ავჭ. ცაგ.).

ჩემ შემდეგ ვინც უნდა წავიდეს, ცოცხალი ვეღარ გამობრუნდება (შ. არაგვ.).

შენს შემდეგ შენმა შეილმა მიიღოს (გ. ჭიჭ., თარგმ.).

შენს შემდეგ სხვა კერპი ვეღარა ვნახე (პ. ლომთ.).

თქვენს შემდეგ გაცემულობა არ წაგადგებათ არარა (რ. ერ.).

საქმენი თქვენი აქ დარჩებიან... რომელნიც თქვენ შემდგომ აქ ბევრს გაამწა.
რებს და აატირებს (ი. გულის.).

იშვითად პრემოზიციურადც გვხვდება, რა თქმა უნდა, ნათესაობითან:
დღე-მამამ, შემდეგ ღრმა განსჯისა, გადასწყვიტეს, რომ კოლასათვის ჯერ აღრვა
სწავლა (ილია).

პირველმან ამან აიღვა ფეხი ჩვენში შემდეგ კარგა ხნის დუმილისა (ილია).

დათო... შემდეგ მეტანის მოყრისა ემთხვევოდა [საყდრის] კედლებსა (ილია).

ამის საწყალი ჭაღები, შემდეგ რამდენიმე ხნის ციებისა... ჩაბარდა პატრონსა
(ილია).

შემდეგ ამ მწუხარე სცენისა... მიუბრუნდა ჯაკოს (ილია).

7. ქვეშ დაერთვის ნათესაობითსა და მიცემითს

ქვეშ ნათესაობითან:

იფნის ქვეშ ისხდენ (ვაჟა).

მეტი სუ შიშის ქვეშა ვარ (ვაჟა).

დაუწყეს სუფრის ქვეშ ძალღებს ცემა (აკაკი).

ბათურის ხმალი ხატმა მიიღო თავის მფარველობის ქვეშ (ვაჟა).

არაეინა ცის ქვეშ ჩემი მადლობელი (ვაჟა).

ღიამბეგი ამ დროს გაუბოროლი ხეივნის ქვეშ დასეირნობდა (ვაჟა).

ვინ დიდი წიფლის ქვეშ მობუნაგებულყო თავის ცოლშვილით, ვინ მუხის
ქვეშ (ვაჟა).

ნატვრა ცარიელ ნატვრად არა რჩება ცის ქვეშ (ილია).

შენის კალთის ქვეშა... რამდენი გაბოროტებული მტერი აღმპინისა თავს იმა-
ლავს (ილია).

დახეულებიღამ გამოჩანდა რალაც დამპალის საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარ-
შემო ჩამოკიდებული (ილია).

ამათ გარდა რამდენი სხვა პაწაწინტელა პოეტები იყვნენ ბაირონის გავლენის
ქვეშ (ილია).

თვალე შეასწრო გიორგის, კაკლის ქვეშ ჩრდილში მწოლარეს (ილია).

ქეჩის ქვეშ რომ ნაბარათეია, ჩამოიტანე (ილია).

დღი ფიქვის ქვეშ ტრიტანი მარმარილოს მოაჯირზე იყო დაყრდნობილი
(გ. ჭიჭ., თარგმ.).

ღალატს შოშოთ ძონძების ქვეშ ჭავშანი ჩაეცვა (გ. ჭიჭ., თარგმ.).

იმ ხის ქვეშ ტყუილი არ გაიბედებოდა (აკაკი).

ისე მოვიკიდა ღვინო, რომ იქვე უგრძობლად სუფრის ქვეშ გაგორდა (აკაკი).
რა სჯობია იმას, რომ ხის ქვეშ ჩეროში იჯდე და დანასობიას ან კენჭობიას თა-
კაშობდე (აკაკი).
მარტოდ მარტო დახეტება ცის ქვეშ („ლიტ. ხაქ.“).

ქვეშ მიცემითან:

შეძვრენ სუფრას ქვეშ და წამოწვენ (აკაკი).
მინდა გულით იმ ღოდს ქვეშ შევეტურდე (ვაჟა).
ქალი... ფრთას ქვეშ უზის ღედას (ილია).
ბიჭი მიიყვანეს და სახარხოზელას ქვეშ დააყენეს (ილია).
ოთარაანთ ქვრივი შევიარდა სახლში, იღლიას ქვეშ ამოიჩარა ექვსი შითი (ილია).
ჩემს საკუთარს ქვეშ ქვეშ ყოფნა... დიდად მუფასებოდა (ვაჟა).
ოცი წელიწადია თურმე, რაც ლუარსაბი და დარეჯანი... ერთს ბედის კალთას ქვეშ
ამოთარებულან (ილია).
რასა ჭყვირიან, როგორც ღორები ღობეს ქვეშ აა. (ილია).
განა ესლა დაივიწყებ შენს კალთას ქვეშ შემოხიზნულსა? (ვაჟა).
ღიაკვანს უღვაშებს ქვეშ ჩაეცია (ვაჟა).
თვალგამოკუსული ბაყაყი წამოცუტაშებლიყო ქვეს ქვეშ (აკაკი).
ერთი-ორი ძალი აზნაურების სუფრას ქვეშაც შემეგრალიყო (აკაკი).

მიცემითს დართვის შემთხვევაში განსაკუთრებით ხში-
რია მიცემითის ხს. მოკვეცა. ამ შემთხვევაში ქვეშ უერთდება სახელის
ფუძეს.

მხოლოდობით რიცხვში:

დასხა ცაცხე ქვეშ (აკაკი).
კაკალ ქვეშ ჩავსხელით (ილია).
ისხნენ დიდ ფურცელ ქვეშ (ილია).
ბატონს ფეხ ქვეშ ჩაუფარდები (ილია).
ფეხ-ქვეშ სთელავდა ერის უფლებას (ვაჟა).
თითქოს ფეხ-ქვეშ ხალები ჰქონდათ დაფენილი (ვაჟა).
საბან ქვეშ ელოცულობდი (ვაჟა).
ბეშეებმა საშობაო საჩუქრები ბალიშ-ქვეშ ამოდეს (ვაჟა).
კაკალ-ქვეშ რამდენიმე ჩამოვარდნილი კაკალი იპოვნა (ვაჟა).
ცალი თითი თავ-ქვეშ ამოიღო (ვაჟა).
აქვე ისაძილებდა და აქვე წაიძინებდა ჩრდილ-ქვეშ (ვაჟა).
[ლუარსაბს] სამკეცად ჰქონდა ნიკაპ ქვეშ ჩამოსული ღაბაბი (ილია).
უკადრისობად მიგვანია ქუთა უწიგნო ტყაბ უჭ-ქვეშ აცოგულვით (ილია).
სახლის უკან კალო-საბძელია და საბძელ-ქვეშ გომური (ილია).
ლევანსაც, ნიკოლოზსაც წიხლ ქვეშ გაიგდებ (ილია).
ამ ჩარდახ-ქვეშ შეეფარე თავი (ილია).
ისე დაღუმებულა [თერგი], თითქო... როზგ-ქვეშ არის გატარებული (ილია).
[გიორგი] წამოწებოდა ეზოში მწვანეზედ, თავ-ქვეშ ორსვე ხელებს ამო-
იდებდა (ილია).
გულშეწებებული დასვა ცაცხე ქვეშ, ბრტყელ ქვაზე (აკაკი).
მქერ ღქვეშ თითქო გული გაეყინა (გ. ქიქ., თარგმ.).
რა-ვიცი, —უთხრა ცოლმა—, ტახტ ქვეშ თუ შეძვრათ (აკაკი).
ჩემი და ტალავერ ქვეშ იღვა და ყურძენს ჰქრუვდა (აკაკი).

მრავლობით რიცხვში:

ღალაშებისას ბნელ ხეებ ქვეშ ჩამოჯდა (გ. ქიქ., თარგმ.).
[ყმაწვილები] საღილად წიგნებით იღლივბ-ქვეშ მოვიდოდნენ შინ (ილია).

მურმეები... გამოტვილიყვნენ... ურმე-ქვეშ (ილია).

პის სხივებ-ქვეშა... დაბალი მღები ჰფეთქდნენ... განახლების სიციხეულითა (ილია).

დაეწივამ კაკლებ ქვეშ (ილია).

პის ფეხებ ქვეშ რამდენამე ყვავილმა დაიყენესა და გარუმდა (ვაჟა).

ასეთი მაგალითები XIX საუკუნის ბოლოსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში სამგვარად დაწერილი გვხვდებოდა: ცალ-ცალკე (პერ ქვეშ), დეფისით (პერ-ქვეშ) და ერთად (პერქვეშ). უფრო ხშირად მაინც და მაინც დეფისით წერდნენ. ამჟამად თითქმის გაბატონებულია ერთად წერა.

იშვითად ქვეშ I და II პირის ნაცვალსახელებთანაც გვხვდება:

[მუხავ], ეკლავ მოიჩრდილებს შენს ქვეშა ლაღი ირემი ჩხიანი (შ. მღვ.).
დღეს ჩემმა ცხენმა საჩქერ ჩემქვეშ წაიფორხილა (ფ. შან., თარგმ.).

მ. გამო ნათესაობითს დაერთვის:

დროშა სიძველის გამო იყო წმინდა, როგორც თვით სალოცავი (ვაჟა).

ბევრი ქალი დაბრებულა შინ ამისთანა სიყვარულის გამო (ვაჟა).

იქნებ ამ ცოდვის გამო ვისვები? (ვაჟა).

ეუჭის სისუსტის გამო უტრმნის ჭამა აკრძალული მქონდა (აკაკი).

დედოფალი დაღლილი იყო გამოვლილი შიშის გამო (გ. ქიქ., თარგმ.).

მეფეს შიშის გამო არ დაუნდვივართ (გ. ქიქ., თარგმ.).

ფრიდონი... არ გვახსვს რა მიზეზით და რის გამო—ზღვისპირის ქართველია (ილია).

არის სხვა მიზეზიც, რის გამოც ყურნალი არ მოეწონება ხოლმე ხალხსა (ილია).

ეგ ჩემი ბრალია და აი რის გამო (ილია).

ზოგი შეუძლებლობისა გამო, ზოგი სიშორისა გამო. ზოგი მოუტლელობისა გამო... (ილია).

სარდიონ მესხივეის კრიტიკის გამო (ილია).

შენ ჩემის მეგობრობისა გამო... გულმოდგინედ შეხმარები (ილია).

სუტ-ქენინამ თავის ანგარიშების გამო 'საქმე ცოტად ვააგრძელა (ილია).

ლუარსაბი ვგრე სწუხდა ეხლანდელ დროების ქირისა გამო (ილია).

III პირის ნაცვალსახელებთან:

ამის გამო ჩვენ ევალ-და-ევალ მიყოლას თავს ვინებებთ (ილია).

არ გეგონოთ, შკითხველნო, რომ ეს სახლ ეკუთვნოდეს ერთს ვისმეს ღარიბს და მის-გამო იყოს ვგრე... თავმინებებული (ილია).

ამის გამო ალი-ყული-ხანი შიშის ქარმა აიტანა (აკაკი).

ჩაის დაღვეა მინდოდა და ამის გამო სამოერის დაღვეა შეეუკეთე (ილია).

ჩემი პატარბეც კი გრძნობდნენ თავიანთ საწყოობას, სიყვარული ხზოსადმი 'ამის გამო უათასდებოდათ (ვაჟა).

I და II პირის ნაცვალსახელებთან გვხვდება: ჩემ გამო და ჩემს გამო, ჩვენ გამო და ჩვენს გამო, შენ გამო და შენს გამო, თქვენ გამო და თქვენს გამო:

მე დღეს რად უნდა ვიტანჯო, თქვენ გამო რისთვის ვყენისა? (ვაჟა).

დედაჩემიც ჩემს გამო არ წასულიყო წირვაზე (ვაჟა).

თუ რამე მიქნია, სულ შენ გამო, სულ შენის სარგებლობისათვის (ხოფ. შგაღ.).

მე მივდიოდი ნანგრევებზე თბლად, თბლად შენს გამო (გ. ტაბ.).

9. წინაშე

ნათესაობითთან

წარსდგა ორივე მეფის წინაშე (გერ. ქიქ., თარგმ.).
როგორ გამოჩინილიყო მტრების წინაშე (გერ. ქიქ., თარგმ.).
ღვთის წინაშე, ქურდიც ვარ, ვერ დავმალავ (ვაჟა).
წარმოიდგინეთ ნაპოლეონი თავის სახელოვან მხედრობის წინაშე (ვაჟა).
მარცხები დაჩოქილები იდგნენ და თავის წინაშე (ვაჟა).
მოპყვე მასწავლებლების ბეზლობას მშობლების წინაშე (ვაჟა).
სახელისილები წარესდევით ციხელის წინაშე (ვაჟა).
ეს ჩვენი ვალდებულება ვახლავს ჩვენი შთამომავლობის წინაშე (ილია).
მეტად კადნიერად კუნტრუშობს [ქერელი ბექა] საზოგადოების წინაშე (ილია).
აბა, ნახეთ რუსთაველი, ყოველთვის უტყუარი და მართალი ბუნების წინაშე (ილია).
იგი... სწყურბა დმანისის დიდებულ ნანგრევების წინაშე (ილია).
შენი ქვეყნის შვილი... ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწინებს (ილია).

მესამე პირის ნაცვალსახელთან ჩვეულებრივად ნათესაობითს დაერთვის:

მის წინაშე ბევრი ღვაწლი მიმიძღვის (გერ. ქიქ., თარგმ.).
ძალაუნებურად მის წინაშე უნდა თავი მოვხარა (ვაჟა).

I და II პირის ნაცვალსახელებთან გვხვდება: ჩემ წინაშე და ჩემს წინაშე, ჩვენ წინაშე და ჩვენს წინაშე, შენ წინაშე და შენს წინაშე, თქვენ წინაშე და თქვენს წინაშე.

გავიგეთ... თქვენ მიერ სამაგალითოდ დასჯა ურჩთა და ორგულთა სოფელთა, რომელ-
თაც ვაბედეს და გამოიჩინეს სიბრძოლე და სიჯიუტე თქვენს წინაშე (ვაჟა).
გაგონილა, გინდა თუ არა, ჩემ წინაშე თავი მოიხარეთ (ილია).
ვაჟაკი... მუხლს მოიდრეკს ჩემს წინაშე (გ. ბარნ.).
თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე (გ. ტაბ.).
ეჭა, ვსდგევართ შენს წინაშე, დიღო მსაჯულო! (გ. ბარნ.).
ღვდიდალი დგას შენს წინაშე (ივ. მაჩ., თარგმ.).
მე იმას შენ წინაშე სუ დამუხლისთავებულს მოვიყვან (გ. წერ.).
აი, მეფე, თუ რათ ვბედავ თქვენს წინაშე დღეს ურჩობას (აკაკი).
მართალი განაცხადეთ თქვენს წინაშე (ი. გოგებ.).
ქლაქის საბჭოს წარსული შემადგენლობა... თქვენ წინაშე დიდად დამნაშავეა (ნ. ლორთქ.).

მგარამ, რასაც ვგრძნობ, სჯობს აღვიარო აწ თქვენ წინაშე გულის სიწრფე-
ლით (აკაკი).

წინაშე თითო-ორიოლს შემთხვევაში პრეპოზიციურადაც შეიძლება შეგვხვდეს:
დამზობილიყვნენ წინაშე დიდი ბატონისა (ვაჟა).
ასეთი წყობა სტილისტიკური მიზნებით აიხსნება.

10. წინ

ნათესაობითთან:

სოსია მწიქიქილეს ეხლა ორივე მუხლი მოეყარა უსულა ოთხრანთ ქვრივის
წინ (ილია).
სახლის წინ რამ ყვაილებს ბაღს იკეთებ, მოდი, გიორგისაც დავეთებ ხოლმე
(ილია).
დიამბეგის წინ დგას მოჩივარი ლამაზი ქვრივი (ილია).

არჩილი მაშინვე მუხლის კვერბზედ დაეცა გიორგის წინ (ილია).
ბუხრის წინ ქაბებს დასტრიალებდა (ილია).
ბუხრის წინ გაგვიშიდენ შელის ტყავს და დაგვევამდენ ზედ (აკაკი).
ჩვენში, როგორც შობის წინ ალილოზე, ისე სააღდგომოდ ქონაზე დადიოდენ
ხოლმე მომღერლები (აკაკი).
ერთის სახლის წინ იდგა, ჩონგურით ხელში, თავდახრილი გოგია მერხონგურე

(აკაკი).
გამაჩერა სარკის წინ (აკაკი).
ისხდნენ ახალგაზრდა ბიჭები ცეცხლის წინ (აკაკი).
ხინკლიანი ხონჩები სტუმრების წინ ელაგა (ვაჟა).
მეფე-დედოფლის წინ მამხალა იყო გამართული (ვაჟა).
დედის წინ შორბინალს კვიცს შეეღი შესჭამს (ვაჟა).
სასახლის წინ თვალს ვერ გადააწედენდა კაცი (ვაჟა).
ბუხრის წინ მხოლოდ ღნავალა სთელემდა (ვაჟა).
გადაეცით, რომ სიკვდილის წინ სალამსა და სიყვარულს ეუფხავენი
(გერ. ქიქ., თარგმ.).

მიცემითან:

ალი გაქრა უცხად და ჩვენს ეზოში იქვე კარებს წინ ენახე ტურფა ბაღი (ვაჟა).
თვალებს წინ საზარულს სურათს დავეყენებ სიკვდილისას (ვაჟა).
იგი უკართოდა თვალებს წინ ისეთი, როგორიც თავად მოსწონდა (ვაჟა).

ს მოკვეცილი და სახელის ფორმას შერწყმული:

ვირს თვალწინ წარმოუდგა თავისი წარსული (ვაჟა).
ყმაწვილ კაცსა... წარსულ ცხოვრებამ გაუარა თვალწინა (ილია).
ერთი მშვენიერი ანგელოზი... თვალწინ გამომეცხადა (ილია).
ეს იყო შუა-ზაფხულის პაპანაჭებამი, სადილწინ (ილია).
საქმე ცხვირწინა მაქესო (ილია).
მიიბამდა კუდის წვერზე რამდენსამე მარცვალს და მიუშვერდა მამალს ცხვირ-
წინ (ვაჟა).

სიკვდილი თვალწინ მედგა (ვაჟა).
ჭეჩილში კი არ გამოვიდა, იქვე თვალწინ დამიდგა (ვაჟა).
ყველა ეს იმის ცხვირწინ დაეცა (ვაჟა).
თვალწინ მიღვას მისი სახე (აკაკი).
დაგვიტრდნენ და ჩემს თვალწინ მოგვლადნენ (გერ. ქიქ. თარგმ.).
უფრემს ნისკარტით ეჭირა გუგული და დედას თვალეწინ უფრიალებდა (ვაჟა).

ამ რივისა საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმა: გუშინწინ.

გუშინწინ წვიმიანი დღე იყო (ვაჟა).
გუშინწინ სოფელში გახლდით (ვაჟა).

მესამე პირის ნაცვალსახელთან მხოლოდ ნათესაობითან არის:

დადგამის წინ თავდაკიდებული (ვაჟა).
მის წინ გადაიშალა თვალგაღუწედნელი მინდორი (ვაჟა).
მის წინ იდგა ის, ვისაც ეს იგლოუდა და სტოროდა (აკაკი).
ამ დროს წაიდა მის წინ ვილაც ახალგაზრდა (აკაკი).
მოდი და ნუ მოიდრეკი იმის წინ მუხლსა (ილია).
[ლუარსაბი] თითქო... არც იჭერებსო, რომ იმის წინ დარეკანია (ილია).
ვიდექ ისე სულელსავეთ იმის წინ (ილია).

I და II პირის ნაცვალსახელებთან:

ჩემ წინ:

სათაეც იყო და არ იყო, ჩემ წინ ეზოში ყურდაცქვეტალი კურდღელი გაიწდა
(ვაჟა).
მოვიდა და დადგა ჩემ წინ (ვაჟა).

შემოიყარა, ბატონო, ჩემ-წინ დღინჯი (ილია).

ჩემ წინ ნახევარ-მკვდარი კაცი იღო (ილია).

ამიწია ჩემ თვალ-წინ და დამიწია მხრები ჩემ-წინ, ჩემ-წინ, (ილია).

ჩემ წინ ერთი ცირცელი იღვა (ვაჟა).

ის დალონებული იღვა ჩემ-წინა (ილია).

ჩემ წინ იღვა ელიკო (აკაკი).

ემშაბები ჩემ წინ სულ მაღაყს გადადიოდნენ (აკაკი).

ჩემ წინ ბურთი კოტრილობდა (აკაკი).

მერე დაიხოჯა ჩემ წინ (აკაკი).

ჩემს წინ:

ქედანმა ხმა გაკმინდა... ჩემს წინ დაცვა (ვაჟა).

ჩემს წინ მხოლოდ დიდრონი იფნები და მუხები იღვა (ვაჟა).

ჩემს წინ გამოჩნდა დიდი სასახლე (ვაჟა).

დათვი იღვა ჩემს წინ (ვაჟა).

ჩემს წინ აღი იღვა და იცინოდა (ვაჟა).

დავინახე, ჩემს წინ ფრთამოტეხილი შაშვი მიკინკილებდა (ვაჟა).

ჩვენს წინ:

ქედანი შოვიდა და დაჯდა ჩვენს წინ თელის ტოტზე (ვაჟა).

ჩვენს წინ ერთ ხმელ ხეს გარშემო კოდალა ევლებოდა (ვაჟა).

ჩვენ წინ:

ჩვენი თავი... ცხოველად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა (ილია).

ჩვენ წინ კაცმა გამოიარა (ვაჟა)

შენ წინ:

შენ წინ დახოქილი ტირის (ილია)

ჩემი გული... იწვედა, რომ შენ წინ გადაშლილიყო (ილია).

თქვენ წინ:

საქვეყნოდ თქვენ წინ ბოდის ვიხდი (ილია).

მწარ წარსულის მოგონებით თქვენ წინ მთქმელი ვარ ამისა (აკაკი).

11. მიერ მხოლოდ ნათესაობითს დაერთვის:

ვისმენდით ციხელის მიერ მოთხოზობილს ამბებს (ვაჟა).

მოუყვება შაკაბაბის მიერ საქართველოს აკლებას და ქუთევეან დედოფლის წამებ-
ბის ამბებს (ვაჟა).

ასევე მესამე პირის ნაცვალსახელთან:

მის მიერ შეკლთა მამულისათვის გაწირვას არაფერი ფასი არა აქვს (ილია).

მის მიერ სანატრელ სადგურს იგი ვიხედა სიყვარულში (ილია).

მის მიერ განვლილი გზა ჩვენში ჯერ უვალი იყო (ილია).

ამ მხრივ მოსაწესრიგებელი არც არაფერია. პარალელური ფორმები ჩნდებოდა, მაშასადამე, მოწესრიგების საკითხი დგება I და II პირის ნაცვალსახელების დართვისას.

ჩვეულებრივ, ჩემ მიერ, ჩვენ მიერ, შენ მიერ, თქვენ მიერ ფორმათა გვერ-
დით გვხვდება ჩემს მიერ, ჩვენს მიერ, შენს მიერ, თქვენს მიერ ფორმები.

ეს აზრი... მოსაწონი აზრია და... მაღლობის ღირსია ჩვენ მიერ (ილია).

პირველმან ამან მიგვახედა ჩვენ მიერ დაეწეებულს წარსულს (ილია).

ჩვენ მიერ უჯროდ დადგმული გვირგვინი დიდებისა... უნდა მოეხადოს თავიდან
(ილია).

შემრწუნებულნი იქნებიან ჩვენ მიერ (ვაჟა).

ეს ჩემ მიერ აღნიშნული ღირსებაც მოვანიჭოს ღმერთმა (ვაჟა).

ბოლოს ჩემს მიერ მიცემული ფიციც მოვგონოს (გ. ქიქ. თარგმ.).

მე დავიჯერე თქვენი უხამსი სიტყვები, თქვენ მიერ ტრისტანზე თქმული
(გ. ქიქ., თარგმ.).
შენ მიერ ხილული—ჩემთვის უხილავი იყო (ვაჟა).

12. მერმე, მერე ბრუნვის ფორმასთან დაკავშირების თვალსაზრისით რაიმე განსხვავებას არ გვიჩვენებს. გვხვდება ნათესაობითან:

მერე სასიძო ხომ მოვა ნიშნის მერეთ? (ილია).
ამის მერმედ ბევრი აღარა დასცალდა რა (ილია).
იმის მერევე შენი სტილნაჩაღნიკი შემხვდა (ილია).

I და II პირის ნაცვალსახელებთანაც ისეთივე ვითარებაა, რაც სხვა შემთხვევებში ვნახეთ: ჩემ მერმე და ჩემს მერმე და ა. შ.

ჩემი თინაოინ არ დაიხაგროს ჩემს მერე (ლ. ქიჩ.).

ერთმანეთს ექიშპება მერმე, მერე ფორმები. XIX საუკუნეში მერმედ ფორმაც აქტუალური იყო („ღმერთმა გილხინოს, თუ შევილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგრჩენია ამ წუთისოფელში“.—ილია; „ამის მერმედ ბევრი აღარა დასცალდა-რა.—ილია).

13. გაღმა, გამოღმა, გადაღმა, გაღმოღმა

ნათესაობითან:

გზის გადაღმა თავ-თავ-ქვე დავეშვით (ილია).
ჭიშკრის გადაღმა... სწორი შუკა უვლიდა დავითის ეზოს (ლ. ქიჩ.).
ღობის გაღმოღმა... ძალი წვეს (ილია).

არანაკლებ ხშირია მიცემითანაც:

ნადირშაჰს... საბიფათოდ მიიჩნდა რუსის ჯარის გაღმოსვლა კავკასიის ქედს
გაღმოღმა („ლიტ. საქ.“).
ტრისტანი ზღვის გაღმა გადაიხვეწა (გ. ქიქ., თარგმ.).
რამდენჯერ ეცადა, ხევს გაღმიღამ ჩემამდე მოეწვდინა თავისი ყლორტები და
მომხევენოდა (ვაჟა).

ს მოკვეცილია და თანდებული შეერთებულია სახელის ბრუნვის ფორმას:

ეს რომ გაათავეს, ბძანა, რომ ხელშეკრული გაეყვანათ წყალგაღმა (აკაკი).
გიორგი მთელი წიგნი იყო ხიდგაღმა დაწერილი (ილია).
თამრო... ცხოვრობდა ალაზანი-გაღმა თავის დედიდაანთასა (ილია).
გადაყვანილია ჭიშკარგაღმა (დ. კლდ.).
ხევ გადაღმა ისინია, ხევ გაღმოღმა ჩვენები (ი. ნონ).
თვალწინ ესახება... დიდი გორა ტეხურ-გაღმა (შ. დად.).

14. ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ, ზემოდან, ქვემოდან

ნათესაობითან:

ნეტავი თითონვე მაგ გამოჩენილს მწერალს არ ეხმაროს სიტყვა სწორედ მაგ ფორ-
მაში ჩემ ლექსების ზემოთ (ილია).
პირდაპირ მფორე კიდევ გაეყვანა კლდის ზემოთ (აკაკი).
— ვანა სხვაგან სადმე იცხოვრებ?!—ხალხში, კაცებთან, ნაყოფიერ დედამიწის
ზემოთა (ილია).

მიცემითან:

სწორედ სტატკის სოვეტნიკის შესაფერი ბაკენბარლები გულზედ აწყვია ორთათივით
გადაჯარღინებულის ხელვებს ზევით (ვაჟა).

ჩვენ სოფელს ქვემოდას ერთი ხუთმეტრიდ ვერსტი რომ ვაგველოთ, კი სანადირო ადგილები იყო (ილია).

მიცემითის ს-ს მოკვეცის შედეგადაა მიღებული შერწყმული ფორმები:

თავზევით ღონე აღარ არის (აკაკი).

გაკომპოზიტებულია: ხვალზევით.

I და II პირის ნაცვალსახელებთან:

მოიტანს ნანადირევს, დაჯდება ჩემს ზემოდან ერთს ამოჩემბულს ლოდზედ (ვაჟა).

ჩვენ ზემოდან ერთი ბექური იყო (მელანია).

მუცელი ჩემს ქვევით არის და არა ჩემს ზევით (ი. გოგ.).

ფრანგურტი იქვე ჩანდა ჩვენს ქვევით მხარ-მარჯვნივ (ივ. მაჭ., თარგმ.).

ცაზე ჩვენს ზევით ამ ადგილას ღრუბული იდგა გ. ტაზ.).

ზევით—ქვევით—ში ვ ბგერა განვითარებულია, XIX საუკუნის სალიტერატურო ქართულში გვხვდება როგორც ზევით, ისე ზევით და როგორც ქვევით, ისე ქვევით ფორმები.

ახალუხისას, სარტყელს ზევით, ორს ან სამს ღილს თუ შეიკრავდა (ვაჟა).

ნინიამ ნუქრს ააცილა ცული და ნუქრის ქვევით დაქრა (ვაჟა).

მუხლებ-ქვევით შიშველ-ტიტველებს სულ აღარა აცეიათ რა (აკაკი).

წყალ ქვევით წყალი ჰვარავდა... წყალზევით-ვი შიშველი იყო (აკაკი).

ამჟამად ზევით, ქვევით ფორმები დასავლური დიალექტიზმებია სალიტერატურო ენის მიმართ და არა არქაიზმები.

15. წინათ (წინად, წინეთ, წინედ)

ნათესაობითთან:

პურის გატეხის წინეთ, ვერ პურს ემთხვევა (აკაკი).

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ისე ნეტარებით მიჰქონდა (აკაკი).

რაც უნდა შეიღო-თვის შემდეგ დაიწეროს, ის შეიღო თვის წინად ვერ დაიბეჭდება (ილია).

ორის ან სამის საათის წინათ გელაპარაკებოდა ისე საამუხრად (ილია).

ისე ცხადად ველარ ვარჩევ ასოსა წიგნში, როგორც ამ ათის წლის წინათა (ილია).

წუთის წინად რას ვლაპარაკობდი, არ მახსოვს (ილია).

ჩირთი-ფურთებს... ეწეოდა ამ ერთის თვის წინათ (აკაკი).

ამ ათის წლის წინეთ... ბანკის დირექტორობა მთხოვა ერთხმად კრებამ (აკაკი).

რამდენიმე წამის წინედ ბესია წავიდა (ე. ნინოშ.).

მიცემითთან:

შვილ თვის შემდეგ დასაადლებელი შვილ თვეს წინად არ ინათლება (ილია).

გაქვავებულ გამოთქმაში:

რაც ამას წინად მოვამზადე... ვერ ისინი ხალხმა მიიღეს (ილია).

წინათ ერთადერთი სწორი ფორმაა მოქმედებითი ბრუნვისა. წინად წარმოიშვა მიმართულებითი ბრუნვის -დ, -ად დაბოლოების ანალოგიით. წინეთ (წინედ) დიალექტიზმია.

16. მაგიერ (მაგიერად) არსებით სახელებს დაერთვის მხოლოდ ნათესაობითთან:

ხალხი ფილთაქვას ხმარობდა წისქვილის მაგიერად (ვაჟა).
აღმასები და იაგუნდები ასხია ხილის მაგიერად (ილია).
გომურის მაგიერად ხულაში დაგამწყვდევ (ილია).
სიმღერის მაგიერად საუბარი გააბეს (აკაკი),
თვალები ცრემლების მაგიერად მრისხანებას აფრქვედნენ (შ. დად.).
ბატონმაც... ღვინის მაგიერ... წყალი... ჩაახშვეინა ჭურში (აკაკი).
მზეთუნახავის მაგიერ მახინჯი დარეჯანი შერთეს (ილია).
ოთარანთ ჭერვის გულის მაგიერ ქვა უდღესო (ილია).
კარპინა... დახმარების მაგიერ ყველას ხელს უშლიდა (მ. ჭავჭავ.).

ასევე შესაძლებელია პირის ნაცვალსახელებთან:

მაგის მაგიერად... ერთი სიტყვა დასთესე (ა. ყაზბ.).
რუსულანს და ხვაშაქს დაავალა მის მაგიერ ცხენით ჩამოველოთ ყველგან (შ. დად.).
მის მაგიერ მე გთხოვთ, ჩემთან მოხვიდეთ სალილად (აკაკი).

I და II პირის ნაცვალსახელებთან გვხვდება პარალელური ფორმები: ჩემ მაგიერ და ჩემს მაგიერ, შენ მაგიერ და შენს მაგიერ, ჩვენ მაგიერ და ჩვენს მაგიერ, თქვენ მაგიერ და თქვენს მაგიერ.

წინამძღოლად ჩემ მაგიერ ჩემი გიორგი (ვ. ბარ.).
თქვენ ხშირად რჩებით ჩემ მაგიერ (დ. კლდ.).
ჩემ მაგიერ მეორემ მიუღო (აკაკი).
ჩემ მაგიერად ლორდი პასტინგის მოიკითხე (ივ. მაჩ., თარგმ.).
ჩემ მაგიერ სთხოვე, ...ეხლავე მოვიდეს (ნ. ლორთქ.).
ჩემ მაგიერ ელენეს გამოგზავნით (აკაკი).
დანიის მიუღეს... ჩემ მაგიერ სალაში უძღვენ (ივ. მაჩ., თარგმ.).
ჩემ მაგიერ ხელი მოაწერე (ილია).

მაგრამ: ბავშვებს აკოცე ჩემს მაგიერ (ჭ. ლომთ.).

შენ მაგიერად აც ვემთხვიე (ილია).
შენ მაგიერად დაუძახე სხვას (აკაკი).
შენ მაგიერ პასუხს აძლევენ ღმერთსაც და კაცსაც (აკაკი).

მაგრამ: ის მიიყვანე შენს მაგიერად (აკაკი). მე მივცემ შენს მაგიერად განკარგულებას (ნ. ლორთქ.). წერილა შენს მაგიერ შეეღვინათ (აღ. ყაზბ.). მე დავუხვდები შენს მაგიერად ჭოჭოხეთის ცეცხლს და ცხელ მარწუხებს (გ. ლეონ.). შენლობას ითხოვენ ჩვენ მაგიერად (აკაკი).

მაგრამ: [ისინი] მიიღეს ჩვენს მაგიერ (შ. დად.).
ნებას დამრთავთ თქვენს მაგიერ ვილაპარაკო? (ილია).
თქვენს მაგიერ ჩვენ ვაგებთ პასუხს (ლ. ქიაჩ.).

მაგრამ: ის გასცემს მაგათ თქვენს მაგიერ პასუხს (აკაკი). თქვენს მაგიერ ათასობით მივა ხალხი (ნ. ლორთქ.).

17. ახლო, ახლოს, შორიახლო, შორიახლოს ჩვეულებრივ გვხვდება მხოლოდ ნათესაობითთან:

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა და დაჭდა გალიის ახლოს (აკაკი).
იჭვე, მოზარის ახლოს, მეორის ისმის ღიინი (ვაჟა).
უნაგვირის ახლოს რაღაც შივი იპოვა (ხ. კლდ.).

ერთი ნატეხი ყმაწვილის ახლოს დაეცა (ს. შანშ.).
 იმ ტყის ახლოს... ერთი ქალაქი იყო (თ. რაზიკ.).
 ასწლოვანი ვერხვის ახლოს მწვანეზე გულაღმა დავწვიქე (შ. არაგვ.).
 იის ახლოს ისევ ის ჩიტი იჯდა (თ. რაზ.).
 მუშა... ღრუბელს ჰგლუჯს ზღვის ძირში ნაპირის შორი-ახლო (ი. გოგებ.).
 მღვდლის შორი-ახლო ის უბედური მუშა ფართხალობდა (ილია).
 საყდრის შორი-ახლო ცეცხლის ალი ავიარდა (ვაჟა).
 [ყვავი] ყორნის შორი-ახლო ერთ ცხვარს დააჯდა (ვაჟა).
 ცეცხლის შორი-ახლო ძალი იწვა (ილია).
 დებიც მამის შორი-ახლო დადგნენ (რ. გვებ.).

მაგრამ I და II პირის ნაცვალსახელებთან აქაც საკმაოდ ხშირია ს-ანიანი ფორმები:

მტრის ჯარისკაცები ჩემს ახლოს მოცოცადნენ (შ. დად.).
 ჩემს ახლოს ნაღმები ცვიოდა (გ. ნატრ.).
 სულ ჩემს ახლოს დაფრინავს (თ. რაზიკ.).
 დედა მაშვიც... ჩემს შორი-ახლოს ხეებზე ჯდებოდა (ვაჟა)
 იგი ჩემს შორი-ახლოს დაჯდა (ქ. ბაქრ., თარგმ.).
 მაქსიმე და დედა გაშტერებული იდგნენ ჩვენს ახლოს (ეკ. გაბ.).
 დამურები ჩვენს ახლო დაუბრკოლებლად ცხოვრობდნენ (ი. გოგებ.).
 [გერმანელები] წამოვიდნენ და იქვე ჩვენს ახლოს დაბანაკდნენ
 (ივ. მაჟავ., თარგმ.).

რა რიგ მწყურია შენს შორი-ახლო განახლებისა მოვიკლა ვინი (გ. ტაბ.).

ანალოგიური საკითხები ჩნდება მახლობლად, მსგავსად, მოშორებით, ირგვლივ, გასწვრივ, პირას (პირად, პირზე), განაპირას, პირდაპირ, წინააღმდეგ, მებტი, უმალ, ბოლოს, ძირს (ძირას), შესახებ, გარეთ, გარეშე, გარეშემო, ნაცვლად, გვერდით (გვერდზე) და მისთ. ზმნისართების სახელის ფორმებთან დაკავშირებისას. გადასაწყვეტია ცალკე მდგომი თანდებულებისა და ზმნისართების სახელებთან შეწყობისთან დაკავშირებული ორი ძირითადი საკითხი:

1. იმ შემთხვევაში, როცა თანდებულად ან ზმნისართი ორ ბრუნვას — ნათესაობითა და მიცემითს — უკავშირდება, რომელ ფორმას მიეცეს უპირატესობა.

2. უნდა გადაიჭრას I და II პირის ნაცვალსახელებთან დაკავშირებისას პოპულურული — სანიანი და უსანო — ფორმების საკითხი.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში აქ დასახელებული თანდებულები ორ ბრუნვას — ნათესაობითა და მიცემითს — უკავშირდებოდა გარკვეული კანონზომიერების დაცვით. ახალ ქართულში ძველი ქართულის კანონზომიერება მოიშალა, მაგრამ ორ ბრუნვას დართვა თანდებულებისა შემოგვრჩა. კიდევ მეტი: ანალოგიით ეს წესი სხვა თანდებულ-ზმნისართებზედაც გავრცელდა. ამასთან, შემოგვრჩა ძველიდან მომდინარე გაქვავებული ფორმებიც. მაინც დღევანდელ ქართულში, თუ ამ გაქვავებულ ფორმებს არ მივიღებთ მხედველობაში, გარკვეული უნიფიკაციისადმი მძლავრი ტენდენცია მაინც შეიმჩნევა: ნათესაობით ბატონდება. ამას ხელს უწყობს შეგნებული ცდებიც, სალიტერატურო ენის სადავო საკითხების მოწესრიგების მიზნით მიმართული. გამონაკლისს წარმოადგენს შორის და შუა, რომლებიც მიცემითს უკავშირდებიან.

რაც შეეხება I და II პირის ფორმებთან პარალელური წარმოების (სანიანის და უსანოს) არსებობას (ჩემ წინაშე და ჩემს წინაშე და მისთანებს), აქ, უმეტეს შემთხვევაში, ს სხვა (ზოგადი) სახელების ანალოგიით კი არაა მიღებული, არამედ ძველი ქართულის ფორმების ნაშთია. ძველ ქართულში I და II პირის ნაცვალსახელები ამ თანდებულ-ზმნისართების დართვისას შესაბამისი კუთვნილებითი

ნაცვალსახელების მიცემითი ბრუნვის ფორმებს იყენებდნენ (წინაშე ჩემსა). ამის გამარტივებას წარმოადგენს დღევანდელი ჩემს წინაშე და მსგავსი ფორმები.

როცა ცალკე მდგომი თანდებული ან ზმნისართი ორ ბრუნვას — ნათესაობითსა და მიცემითს — დაერთვის, პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა ნათესაობითს უნდა მიეცეს. მიცემითი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დარჩეს, როცა გაქვეავებული გამოთქმები გვაქვს.

I და II პირის ფორმებთან უსანო ფორმები უნდა იქნეს მიჩნეული ძირითად ფორმებად. ამით ეს ფორმებიც ვაყვება საერთო წესს, დაშორდება მიცემითს, თანდებულ-ზმნისართები საბოლოოდ ნათესაობითთან იქნება დაკავშირებული, რამდენადაც უსანო ფორმები ნათესაობითის ბადალა.

ამის მიხედვით უნდა დამკვიდრდეს შემდეგი წესები:

1. გარდა შეიძლება წინ უსწრებდეს სახელს და შეიძლება მოსდევდეს მას; ორივე შემთხვევაში ის უნდა იხმარებოდეს ნათესაობითთან: ამხანაგის გარდა და გარდა ამხანაგისა, ამის გარდა და გარდა ამისა. როგორც ჩვეულებრივი გამოთქმა, დარჩება მიცემითთან ამას გარდა. ამ გამოთქმას ზმნისართული შინაარსი აქვს.
2. იქით, აქეთ და მისთ. იხმარებოდეს ნათესაობითთან. როგორც ჩვეულებრივი თქმა, დარჩება მიცემითთან: ცხრა მთას იქით; ამას იქით; მას იქით; ცხრა მთას, ცხრა ზღვას იქით. I და II პირის ნაცვალსახელებზე ამ ზმნისართის დართვისას, აგრეთვე როგორც ჩვეულებრივი გაქვეავებული გამოთქმები, დარჩება: ჩემს იქით, შენს იქით, ჩვენს იქით, თქვენს იქით. გავრცელებული აქეთ და აქით სახეობათაგან ლიტერატურულად აქეთ სახეობა იქნეს მიჩნეული, აქით უქუსაგდებია.
3. უკან იხმარებოდეს ნათესაობითთან. როგორც ჩვეულებრივი თქმა, დარჩება მიცემითთან: მას უკან, პატარა ხანს უკან, ზურგს უკან, პირს უკან.
4. შორის იხმარებოდეს მხოლოდ მიცემითთან.
5. შუა იხმარებოდეს მხოლოდ მიცემითთან.
6. შემდეგ, შემდგომ იხმარებოდეს ნათესაობითთან. როგორც ჩვეულებრივი თქმა, დარჩეს მიცემითთან მას შემდეგ.
7. ქვეშ იხმარებოდეს ნათესაობითთან.
8. გამო იხმარება და იხმარებოდეს ნათესაობითთან.
9. წინაშე იხმარებოდეს ნათესაობითთან
10. წინ იხმარებოდეს ნათესაობითთან.
11. მიერ იხმარება და იხმარებოდეს ნათესაობითთან.
12. მერმე იხმარებოდეს ნათესაობითთან. მერმე, მერე, მერმედ სახეობათაგან ლიტერატურულად მიჩნეულ იქნეს მხოლოდ მერმე.
13. გაღმა, გამოღმა, გადაღმა, გაღმოღმა იხმარებოდეს ნათესაობითთან. როგორც ჩვეულებრივი თქმა, დარჩეს მიცემითთან ცხრა მთას გაღამა, ზღვას გაღმა, წყალს გაღმა, წყალს გამოღმა.
14. წინათ იხმარებოდეს ნათესაობითთან. აღინიშნოს, რომ წინათ წარმოშობით მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა და ამდენად, სრულიად გაუშართლებელია მისი დ დაბოლოებით ხმარება (წინად), რაც ზოგჯერ გვხვდება სალიტერატურო ენაში მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოების ანალოგიით. ასევე უარყოფილ იქნეს წინეთ სახეობა, როგორც დიალექტური.

როგორც ჩვეულებრივი გამოთქმა, დარჩეს მიცემითან: **ამას წინათ.**

15. **ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ** იხმარებოდეს ნათესაობითან, აღინიშნოს, რომ **ზემოთ, ქვემოთ** წარმოშობით მოქმედებითი ბრუნვის ფორმებია და, ამდენად, გაუმართლებელია მათი და დაბოლოებით ხმარება (**ზემოდ, ქვემოდ**), რაც ზოგჯერ გვხვდება სალიტერატურო ენაში მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოების ანალოგიით. ასევე უარყოფილ უნდა იქნეს **ზეით, ქვეით** ფორმები. თუმცა ისტორიულად ეს ფორმები გამართლებულია, დღევანდელი სალიტერატურო ენის მიმართ დიალექტიზმებს წარმოადგენს. ერთადერთ ფორმებად მიჩნეულ იქნეს ფორმები, რომლებშიაც ვ ბგერაა ჩართული: **ზევით, ქვევით.**
16. **მაგიერ (მაგივრად)** იხმარება და იხმარებოდეს მხოლოდ ნათესაობითან.
17. **ახლო, ახლოს, შორიახლო, შორიახლოს** იხმარებოდეს მხოლოდ ნათესაობითან.
18. ანალოგიურად უნდა დაუკავშირდეს სახელს ნათესაობით ბრუნვაში: **მახლოზღად, მგავსად, მოშორებით, ირგვლივ, გასწვრივ, პირას (პირად, პირზე), ნაპირას, ვანაპირას, პირდაპირ, წინააღმდეგ, მეტი, უმალ, ბოლოს, ძირს (ძირას), შესახებ, ვარეთ, ვარეშე, ვარ შემო, ნაცვლად, გვერდით (გვერდზე)** და სხვა ზმნისართ-თანდებულები.
19. ზემო პუნქტებში ჩამოთვლილი თანდებულ-ზმნისართები (ძირითადად) პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების ხანმოკვეცილ ფორმებს უნდა დაუკავშირდეს (ე. ი. ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ სახეობებს), რომლებიც ნათესაობითი ბრუნვის ბადალია. ამის მიხედვით გვექნება: **ჩემ ვარდა, შენ ვარდა, ჩვენ ვარდა, თქვენ ვარდა, ჩემ უჯან, შენ უჯან, ჩვენ უჯან, თქვენ უჯან, ჩემ შემდეგ, შენ შემდეგ, ჩვენ შემდეგ, თქვენ შემდეგ** და ასევე **შემდგომ, ქვეშ, გამო, წინაშე, წინ, მიერ, მერმე, წინათ, ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ, მაგიერ, ახლო, შორიახლო** და სხვ. თანდებულ-ზმნისართებთან. ამით დამყარდება ერთგვარობა და გზა აღარ გაეხსნება ისეთ ფორმებს, როგორცაა: **ჩემსკენ, შენსკენ, ჩვენსკენ, თქვენსკენ, ჩემს მიერ** და სხვ., რომლებშიც ს ანალოგიითაა გაჩენილი.
20. ასევე უნდა იხმარებოდეს **ჩვენ შორის, ჩვენ შუა, თქვენ შორის, თქვენ შუა.** ამ შემთხვევაში **ჩვენ, თქვენ** მიცემითის ბადალია და კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმის გამოყენება აღარ დაგვირდება. **შუა** და **შორის** — გაჰყვება საერთო წესს.
21. ისეთი შემთხვევები, როცა **შორის** და **შუა** ორ ნაცვალსახელთან იხმარება, ზემო მუხლში გათვალისწინებულ წესს უნდა დაუქვემდებარდეს, ე. ი. ყველგან ს მოკვეცილი ფორმები უნდა იხმარებოდეს: **ჩვენ და თქვენ შორის, თქვენ და ჩვენ შორის** და ა. შ.

იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ნაცვალსახელისაგან ერთ-ერთი პირველი პირის მე ნაცვალსახელია, იგი ჩვეულებრივ პირველ ადგილას დაისმის და ერთადერთი ლიტერატურული გამოთქმები იქნება: **მე და შენ შორის (ან შუა), მე და მას შორის (ან შუა), მე და თქვენ შორის (ან შუა), ჩემ და შენ შორის** და მისთ. გამოთქმები უარყოფილ უნდა იქნეს. თუ პირველი პირის ნაცვალსახელი მეორე ადგილზე ვადაისმის, მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელია **ჩემ: შენ და ჩემ შორის.**

22. სახელის მიცემით ბრუნვას შეერთებული (ს მოკვეცილი) ფორმები გაკომპო-
ზიტებულია და ერთ სიტყვად დაიწეროს:
ლოდებშუა, ჭერქვეშ, კაკალქვეშ, ფეხქვეშ, კაკლებქვეშ, თავქვეშ, თვალწინ,
ცხვირწინ, გუშინწინ, წყალგალმა.
23. ყველა თანდებულ-ზმნისართი პოსტპოზიციურად დაერთოს სახელს. გამო-
ნაკლისს წარმოადგენს გარდა, ამ შემთხვევაში პრეპოზიციული წყობაც დარ-
ჩება: ამის გარდა (ვარიანტი: ამას გარდა) და გარდა ამისა.